



מְנוֹרָה

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დაცვურული კარიბების გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מְנוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქთომებრი
თიბრევი
10 (434)
(5778)
2017

”מִבְּרוֹרָה“
עַיתּוֹן יְהוּדִי
בָּגְרוּגִיה



თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის ჭიშკარი

არქიტექტორები: მამა-შვილი იოსებ და დავით აჯიაშვილები.

ჭიშკარი დამზადდა 1995-1996 წლებში, ხარჯები გასწია სოსო აჯიაშვილმა.

სახელი და სიტუაციები

გურამ პატიაშვილი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „გ“ №9)

გერმელ გააზოვი

როგორც ჩანს, უნდა ვირწმუნოთ, რომ გერცელ ბაზოვი გახლდათ პირველი ლირ-სეული შემოქმედი 26 საუკუნოვან ქართველ ეპრაელთა შორის. ჩვენს ანალებში სხვა სახელი არ ჩანს. ალბათ, ასეც იყო მოსალოდნელი-შუა საუკუნეების ქართველი ეპრაელობა იმდენად კარჩაეტილ ცხოვრებას ეწეოდა, ალბათ, არავის უცდია კალამი აეღო ხელში, რათა ქაღალდზე გადაეტანა თავისი ტკივილი, თუ სიხარული, ან თუ უცდია, ამისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია- პრიორიტეტული სრულიად სხვა ღირებულებები გახლდათ.

ისიც კი მგონია, შესაძლოა, გერცელ ბააზოვსაც ცხოვრების სხვა გზა აერჩია, რომ არა დავით ბააზოვი-მამა.

დავით ბაზოვი-ეს დიდი ქართველი ებრაელი განმახათლებელი და მოღვაწე შეეცადა სულ სხვა ტენდენცია დაენერგა ქართველ ებრაელთა შორის — საზოგადოებრივი ინტერესებით ცხოვრება, თვითონეული ქართველი ებრაელის საზოგადო პიროვნებად ქცევა. ეს მისწრაფება, ამ ტენდენციის სიკეთე.

გერცელ ბააზოვის შემდეგ გავიდა წლები, მოვიდა შემოქმედთა ახალი თაობა. კულავაც მოვლენ, მაგრამ გერცელ ბააზოვი მარად პირველი იქნება. 30-იანი წლებში დასადგურებულმა კაენის სულისკვეთებამ იგი ხსოვნისათვის გასწირა ისე, როგორც საღიერმა-მოცარტი. გერცელ ბააზოვის სალიერი ის დრო და სულისკვეთება, საზოგადოებრივი ფორმაცია იყო, რომელსაც თავადაც ქმნიდა და ემსახურებოდა. გერცელ ბააზოვი გამონაკლისი არ გახდათ-ასეთი ტრაგიკული ბედი იმ ეპოქის ბევრი შემოქმედის თანამდევი გახდა, მაგრამ ვერც იმას უარყოფთ, რომ ყველაფერი ეს ექცევა ებრაელთა თავსნეულ ტრაგედიათა ჩარჩოებში- ებრაელობა ძალიან ხშირად გამხდარა მსხვერპლი იმ საზოგადოებრივი, პოლიტიკური მიმდინარეობის, რომელსაც ემსახურებოდა. ტრაგიზმი იმითაც მძიფრდებოდა, რომ ამ რევოლუციური სულისკვეთების, კომუნისტური მრნამსის მწერალს ისინი ასამართლებდნენ, ვისაც ემსახურებოდა, ვისთვისაც წერდა. ეს კი მისი შეცდომა კი არა, დროის ტენდენცია იყო.

ჩევენს თანამედროვეთა შორის ხშირად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ გერცელ ბაზოვი პოლიტიზირებული მწერალი იყო, რომ იგი პოლიტიკას არ უნდა გაკარებოდა და და ა.შ. არ დავმალავ: ჩემს შინაგან პროტესტს იწვევდა და დღესაც იწვევს მისი პოლიტიზირებული, კლასობრივი მიღვომა მოვლენებისადმი, ხოლო მისი ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟის ფიქრი იმაზე, თუ რა გზა აირჩიოს-ტრამვაის თუ ლეთისა, არაადეკვატურად მიმართა, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ იგი ეპოქის შვილი იყო? გერცელ ბაზოვს არ შეეძლო არ ენერა იმაზე, რაც ესოდენ მთავარი იყო მისი ღროისათვის. რუსეთის იმპერიაში ებრაელთა მისის, არსებობის წინააღმდეგ მიმართულ წიგნში „200 წელი ერთად“ აღ. სოლუენიცინის დერუავნიკულმა სულისკვეთებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ებრაელები სწორედ იქცეოდნენ, როცა ცარიზმს ებრძოდნენ. ებრაელობის განმაქიქებელი სოლუენიცინის წიგნი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ მეოცე საუკუნის პირველი ოცნებულის რუსეთის ებრაელიბა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის აგებას ლამობდა. ყოველი შემოქმედი თავისი ღროის კრიტერიუმებით უნდა განსაჯო. გერცელ ბაზოვის სიჭაბუქის წლებში კი სოციალური თანასწორობის იდეა ერთობ მიმზიდველი იყო. გერცელ ბაზოვს, თავის ღროის დიდად განათლებულ (როგორც საერო, ასევე რელიგიური თვალსაზრისით) ახალგაზრდას, არ შეეძლო ამ პროცესს განვითაროთ. ამის გამო მისი თავი დაფინის გვირგვინს უნდა დაემშვენებია. თუმცადა, ეკლის გვირგვინი დაადგეს სწორედ ამ ეკლის გვირგვინმა გასწირა იგი მომავალში არსებობისათვის.

საიმ სუბალაშვილი

ისრაელში გამომავალი უურნალ „დროშის“ ათი წლისთვათან დაკავშირებით, ან განსვენებულ გამორჩენილ მწერალთან — გურამ ფანჯიკიძესთან ერთად ამ უურნალში დაბეჭდილი მასალების კრებული შევადგინე: „სამშობლოდან სამშობლოში“. ამიტომ კარგად ვიცნობ ხამი სუტელაშვილის, როგორც რედაქტორის, მუჟმაბის სტილს. ყოველი გაზეთი, უურნალი რედაქტორის ნანარმოებია, მისი პირმშო, ქმნილება და აირეკლავს მის შინაგან კულტურას, ზნეობრიობას, რეალობისადმი დამოკიდებულებას. „დროშაში“ ჩანს ხამის ხასიათი, ბუნება: ერთობ კეთილისმსურველი, ყოველი ქართველი ებრაელის ისრაელში ჩამოსვლით, შეგომატებით გახარებული. დააკვირდით, ცხოვრების რომელ ეტაპზე ვინ არის უურნალის ავტორი, ვისზე წერს უურნალი, ან როგორ, რის მიხედვით იცვლებოდა უურნალის სარედაქციო კოლეგია: რეპატრიანტი, თუ ის, რაიმე საზოგადოებრივი აქტიურობით ხასიათდებოდა, სარედაქციო კოლეგიის წევრთა სიაში ექცევდა, პოეტად, პროზაიკოსად, ამა თუ იმ დარგის გვერდაუკლელ სპეციალისტად ევლინებოდა მექითხველს. რატომ ხდებოდა ასე?

ამ უქსტით ხაიმი რეპატრიინგს ჩააგონებდა, რომ იგი, ახლადჩამოსული, ახალ, უწვეულო, მკაფრ სინამდვილეში მოხვედრილი ადამიანი, ძალიან სჭირდება ისრაელს. ამ ადამიანს ექმნებოდა იმის შთაბეჭდილება, რომ იგი მოვიდა საჭირო ადგილას, რომ იგი საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელი ადამიანის.

საიმი ნამდვილი მოღვაწე იყო-სახალხო საქმისთვის მოწოდებული კაცი და ამან შეაქმნევინა ჟურნალი „დროშა“: „აკადემაიმთა (უმაღლესი განათლების მქონე პირთა) გაერთიანება“. ხამბა „დროშა“ მეგობრულ კერად აქცია. ჩემთვის „დროშაში“ მისვლა, იქ ყოვნა, ლამის რატუალის რანგში გახლდათ აყვანილი, იმიტომ რომ იქ მუდაშ საქმიანი, მეგობრული ატმოსფერო სულიერდა.

ხაიმი იმითაც მაოცებდა, რომ მან, ტენინიური განათლების კაცმა, ასე კარგად შეისწავლა საუკუნოს საქმე. იცოდა უურნალის დანიშნულება და არასოდეს არ დაუშვებდა ფსევდომეცნიერული ხალტურის ბეჭდვას, „დროშის“ ფურცლებზე. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს შინაგანი კულტურის უპირატეს როლს. შინაგანი კულტურა კი ის განძია, ვერც დიპლომით რომ ვერ შეიძენ და ვერც-დისერტაციებით. შოლომ ალექსეევისა არ იყოს, ჯიბეში ფული ან გაქვს, ან-არა! არა გაქვს და მორჩა!

დღეს კი უურნალი „დროშა“ აღარ გამოდის. ხაიმის გარდაცვალების შემდეგ მოახ-
ერხეს უურნალი ქართველ ებრაელთა ორგანიზაციების გაერთიანების გამგებლობა-
ში მოქცეულიყო. მართალია, ქართველ ებრაელთა ყველა ორგანიზაცია არ სცნობდა
ამ გაერთიანებას, მაგრამ თავმჯდომარეს — შაბთაი ცურს — ეს ნაკლებ ალელვებდა,
რადგან სცნობდა და აფინანსებდა კიდეც ხელისუფლება. და აი სწორედ ამ ორგა-
ნიზაციის დაქვემდებარებაში მოექცა უურნალი „დროშა“

დაიტკა კიდევ — ხამ ხუბელაშვილის მიერ წვითა და დაგვით შექმნილი და შენარჩუნებული ყურნალი მალე გაუქმდა. მიზეზი? დაფინანსება არა გვაკვსო. ჭეშმარიტი მიზეზი? ყურნალი „დროშა“ იყო ძეგლი ხამ ხუბელაშვილისა — მეტყველი იმისა, თუ როგორ იღწვიდა ეს კაცი. ეს არ ენადათ, ეს უშლიდათ ხელს ქართველ ებრაელთა „დიდ მოამაგრებს.“

შალომ დავილი

შალომ დავიდი (დავითაშვილი) ერთობ საინტერესო პიროვნებაა. საინტერესოა, ორგორც შემოქმედი — ჩინებული მთარგმნელი. კლასიკური ებრაული მემკვიდრეობის ძალიან პევრი თხზულება ქართულ ენაზე გაგვაცნო, დაგვიახლოვა, შეგვაყვარა. ამ თარგმანების დედანთან იდენტურობის თაობაზე პევრის ვიტყვია-ივრითის ჩემი ცოდნის დონე არ მაძლევს ამის უფლებას. თუმცააღა, იმდენი კი ვიცი, უხეში შეცდომა, გნებავთ, ქართული სალიტერატურო ენისადმი ზედაპირული დამოკიდებულება, აღმოვაჩინო. შალომ დავიდი ქართული ენის წილში ლალად გრძნობს თავს—ამ ენის, ქართული სიტყვიერების დიდ ტრადიციაზეა აღზრდილი. ენა, მისი ნიუანსები, იმდენად გათავისებული აქვს, სიტყვას არა მხოლოდ გრძნობს, ჩაესმის, ასე მგონია, ხედავს კიდეც. აღბათ, ამიტომაც ზოგჯერ შემოქმედებით რისეს ენევა — არ ერიდება სიტყვათქმნადობას. იმდენად გათავისებული აქვს ქართული ენა-მისი ნორმები, ფორმები, იმდენადა ჩაფლული ენის წილში, რომ სიტყვათქმნადობა მის მთარგმელობით პრაქტიკში თითქმის ჩვეულებრივი პროცესია. შალომ დავიდის მიერ შეთხზული სიტყვა იმდენად ორგანულია, კონტექსტში ისე ზუსტად აქვს მონახული ადგილი, რომ უმეტეს შემთხვევაში (სხირედ რომ უმეტეს შემთხვევაში და არა კოველთვის — ზოგჯერ სიტყვა ხორკლიანია და არ იტვირთება იმ შინაარსით, რომლის მასში მოქცევაც მთარგმნელს (სწადია) არც ტოვებს მთარგმნელის მიერ შეთხზულის შთაბეჭდილებას. თუ მის ტექსტს (ცხადია, თარგმანებს ვგულისხმობ და არა მის თეოლოგიურ, თუ ისტორიული ხასიათის ნაშრომებს), ხშირად არ კითხულობ, კონტექსტში იმდენად ორგანულად ზის, შესაძლოა, გაგეპაროს. მე კი, ერთი გარემოების გამო, ეს არ მიჭირს: ყოველ შებათ დილით მოსეს ხუთნიგნეულის-, ხუმაშის “შალომისეული თარგმანი მიჭირავს ხელში. ამ გენიალური ტექსტის რამდენიმე თარგმანი მაქვს, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოებათა გამო ჩახედავ ხოლმე-რაღაცას დავეძებ, რაღაცას ვამონმებ. მეტ ნდობას შალომისეული თარგმანი იმსახურებს (ის-ევე როგორც „თეილიმის“ ი. მამისთვალოვისეული). ეს დიდებული წიგნი რომ მაჩუქა, მყისვე გადავშალე და იმ მონაკვეთს დავუწყე ძებნა, რომლის ქართული თარგმანის რაობა ძლიერ მაინტერესებდა — მენადა გამეგო, შალომმა ერთი წინადადება როგორ თარგმანა. ეს იმიტომ რომ მანამდე, შალომ დავიდისეული თარგმანის გამოსვლამდე რამდენიმე წლით ადრე, ერთ-ერთ თარგმანში უცნაური რამ წავიკითხე: „და უთხრა უფალმა კაინს: სად არის ჰებელი, შენი ძმა? და მან უთხრა: არ ვიცი; განა მე ჩემი ძმის ყარაული ვარ?“ ერთ წინადადებაში „უთხრა“, „უთხრას“ ვგერდი კი ავუარე, მაგრამ ამ სიტყვის-„ყარაულის“ წაკითხვისთანავე, ლამის ვიყვირე: *Kapay!* მენადა ამ „ყარაულს“ მთარგმნელისათვის კალამი გამოეგლივა ხელიდან და დაყარაულებულიყო, რომ სხვა თარგმანებში ყარაულობანას შეშვებოდა, მაგრამ აღარ ვიყვირე, გამახსენდა რომ ამ მთარგმნელთა კოლექტივიდან ერთ-ერთმა ისეთი დაყარაულება იცის, ბევრი ვერ შეედრება-შენ რომ გძინავს, ის მსოფლიოს ქართველ ებრაელობას ანრიალებს და საძაგლ სიტყვებს ჩასძახის იმაზე და მერე შენ დღეცა და ღამეც სულ *Kapay!* უნდა გაიძახოდე. ამგვართა მეოხებით ისედაც ატკივებული თავი კიდევ უფრო არ ავიტკივე და იმათა თარგმანი ვერდზე გადავდე.

შალომ დავიდის თარგმანს ჩავხედე - მეტქი: „არ ვიცი, ნუთუ ჩემი ძმის მცველი ვარ
მე?“ წავიკითხე აქ. **ყარაულს** რომ **მცველი** სჯობია, ამას დიდი განათლება-გამოც-
დილება არ სჭირდება, თუმცა, მე ამ შემთხვევაში **მცველს დარაჯს** ვამჯობინებდი,
მაგრამ აქ, ამ წინადადებაში ჩემთვის საყურადღებოა წინადადების ბოლოს მოქცეუ-
ლი „**მე**“. ეს ბოლო სიტყვა „**მე**“ გარკვეული წიუპსის მატარებელია-ჩინებულად ახას-
იათებს კაენს: როცა ადამიანი „**მეს**“ აყენებს წინა პლანზე, როცა გარემომცველებთან
ურთიერთობისას „**მე**“ იქცევა წარმმართველად „**მე**“ განსაზღვრავს ურთიერთობის
სახეს, ფორმას, ეს გარკვეულნილად სიგნალია, სიგნალია იმისა, რომ მოსალოდნე-
ლია კონფლიქტური (ამ შემთხვევაში - ტრაგიული!) სიტუაციები. აქ, შალომ დავი-
დის თარგმანი, ეს „**მე**“ ასეთი წიუპსით იკითხება: „განა, **მე** ის ადამიანი ვარ, აპელი
რომ უნდა დაიცვას?“, ან „განა, **მე** აპელის დაცვა მეეკადრება?“ ან „**მე** რატომ უნდა
ვიცოდე, სად არის და რას აკეთებს აპელი?!“

ძალობ დაგიდი, როგორც ძლიერ ძორშუე კაცი, აძაყი ვერ იქცება და არც არის. მაგრამ მისი შინაგანი ძალა, რჩმენა საკუთარი თავისა და ბიოგრაფიისა, ქმნადობის დაუკერძლი წყურვილი (ქ.ხოლონის მერის მოადგილე რომ გახლდათ, ქალაქის გულში შოთა რუსთაველის სახელობის პარკი შექმნა. სიამაყით მატარებდა ამ პარკში) უფლებას აძლევს და აუცილებლობასაც ბადებს, ჰერნდეს მტკიცე, ურყევი პოზიცია ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის მიმართ. მითუმეტეს მაშინ, როცა შესცერის ზოგიერთი მისი, დროებით აღზევებული თანატომელი ულირსი გზებით, საშუალებებით როგორც დილობს სხვებზე ამაღლებას.

და ყველაფერი ამის სათავე გახსლავთ რწმენა და ცოდნა.
მუდამ რწმენითა და ცოდნით მოქმედებდა და მოქმედებს, ამიტომაც არ უჭირს. მარადიულის ურყევი რწმენა-იუდაიზმის საფუძვლების ღრმა ცოდნა, თავისი ქვეყნი-სა და ხალხის სიყვარული, აძლევს უფლებას, სამუალებას ერთობ დამაჯერებლად, გულწრფელად ისაუბროს ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე, ისაუბროს წარმ-ტაჟათ მრთვალი ქართვალი. პეტრალი მინახავს მისი ამინასალაბით მოხიბლოლი.

ବ୍ୟାକ ପାଇଁ ବ୍ୟାକ

ნიუ-იორქში რამდენიმე ნათესავი და მეგობარი მყავს. ამ მეგობართა შორის არიან აშენაზები-ევროპიელი ებრაელები — თბილისი, საქართველო თვალით რომ არ უნახავთ, მაგრამ საერთაშორისო ებრაულ ორგანიზაციებში თანამშრომლობამ ისე კარგად გაგვაცნო ერთმანეთი, თბილისში ჩემზე დაწერილი პასკვილები რომ მისდიოდათ, ორიოდე სტრიქონს ნაიკითხავდნენ და სანავე ყუთში გადაუძახებდნენ. არიან ქართველი ებრაელები — კეთილშობილნი და ღირსეულნი. ამათ შორის გახლავთ ნოდარ ფარლაგაშვილი.

ერთობ წიგნიერი კაცია, ლამის ნახევარი საუკუნეა საქართველოდან წავიდა, მაგრამ ძალიან ბევრ ქართველს გაეჯიბრება ქართული მწერლობის სიყვარულსა და ცოდნაში. მისგან ამათუებ ქართველი პოეტის, პროზაიკოსის შემოქმედების ისეთი ანალიზი მომისქნია, მოხიბლული დავრჩენილვარ. ქართული წიგნის სიყვარული სისტემა უსახლო და უძლიერია.

სისხლსა და ხორციტი აქვთ გამჭვედარი.
კიდევ რა მომწონს ამ ადამიანში? იქნებ, ეს იყოს მთავარი და სათავეს აქ იღებდეს ის, რაზეც უკვე ვილაპარარაკე — იუდაიზმის ჩინებული მცოდნეა და ტეშმარიტი იუდეველი, ისეთი კი არა, ქუდს სხვათა დასანახად რომ იხურავენ და როგორც კი იმ ადამიანს გაეცლებიან, ვისი დარწმუნებაც სწადიათ, ქუდს როგორელილაც ჯიბეში ჩაიკუჭავენ. არა, სულით ხორცამდე მორწმუნე კაცია. რწმენა კი ძალაა, რწმენა ძალას და სულიერ შვებას ანიჭებს და სხვათაგან ესეც გამოარჩევს — ვერა-რა ცხოვრებისეული განსაცდელი, ვერა-რა ხორშაკი წუთისოფლისა, ებრაელი კაცის ცხოვრების წესისაგან ვერ გადაახვევინებს. მისი პიროვნული ძლიერების სათავეც ეს გაბრავთ. ყოველივე ამის გამო მასთან ურთიერთობა იოლია — ყველაფერი ცხადია და ნათელი. ამასწინათ, ვაშინგტონში სხდომების დამთავრების შემდეგ, ნიუ-იორკში სასტუმ

ოქტომბერი (თიშრეი) №10, 2017 წ

ოჯახის სტუმარი უნდა იყოო. არ მენადა ოჯახის შეწუხება, სასტუმროშიც ერთობს ხალვათად ვგრძნობდი თავს. თავშეკავება რომ შემატყო, თითქმის კატეგორიულად გამომიცხადა პარასკევის მაინც უნდა გადმოხვიდე ჩემთან, ეს შაბათი ერთად გავატაროთ. დავყაბულდი, პარასკევ საღამოს გადავედი — 2014 წლის იგნისის დასაწყისის ერთი შაბათი ნოდარის ოჯახში გავატარე და იმდენად კმაყოფილი დავრჩი, თავს პირობა მივეცი, თუ ანალოგიური შემთხვევა მომეცემოდა, ნოდარს კი არ ეთხოვნა შაბათი ჩვენთან გაატარეო, მე მეობოვნა, თქვენს ოჯახში შაბათი მართლა შაბათი და მისტუმრეთ-მეთქი. თუმცადა, მას შერე ორჯერ მაინც ვიყავი ნიუ-იორკში, მაგრან სამწუხაროდ, თავს ეს პირობა ვერ შევუსრულე.

ରାତ୍ରିମ ମିଶ୍ରଙ୍କ ତାଙ୍କସ ଆସେଟା ଶ୍ରେଷ୍ଠଶର୍ମୀଙ୍କୁ ଦେଲୋ ଫାତିର୍କେବା? ମିନ୍ତରୀମ ରନ୍ମ ଏରତନ୍ତ କମାଧନ ଫୁଲିବ ଫାଵରକି ଶାବାତ୍ସ ନେଂଦାରିଳି ଓଜାବଥି ସତ୍ୟମରିବିବିତ.

ყოველი ადამიანი მიღებული ცოდნის, ჩვევათა, გამოცდილების ჯამია. არცთუ იშვიათად წლები, ცხოვრების პერიპეტიები — სიხარული, თუ განსაცდელი, დრო-დადრო, იქნებ, შეუმჩნევლადაც კი, გვაშორებს სათავეს — იმას, საიდანაც იწყება პიროვნების კავშირი სამყაროსთან, რისგანაც იქმნება და ყალიბდება პიროვნება-მამა-პაპათაგან მომდინარე რწმენა, ტრადიცია, რომელიც შენში თავისთავად, ბუნებრივად გადმოდის (ცხადია, თუ შენ საგანგებოდ არ გაირჯები იმისათვის, რომ მას წინალობა დაუდგა).

შაბათით თბილისის მცხოვრები ბევრი ებრაელისთვის და მათს შორის ჩემთვისაც წმინდა დღეა, თანახმად მცნებისა, ვიცავთ და ვპატიოსხებთ, მაგრამ... მაიც არის განსხვავება, დიდი განსხვავება. აქ, ნიუ-იორქში შაბათი იმის გამო რომ წმინდაა და თავისას მიაგებენ, სულიერი შვების მომგვრელი გახლავთ... ეს არა შეყოვნების, შეჩერების დღეა, უნდა შეჩერდე, რათა გადახედო განვლილ დღეებს, კვირას, თვეებს გადახედო და შეაფასო. კიდევ ერთხელ რწმუნდები: ყველა რელიგიური დოგმა ადა-მიანის სულიერი წონასწორობისათვის არის მოფიქრებული და შექმნილი. ასე იყო ამ დღესაც, ჩემი ბავშვობის წლები რომ გამახსენა, წლები, როცა საქართველოში ებრაელი შაბათს მტკიცედ იცავდნენ და შაბათი არა მხოლოდ დასვენების, წმინდა დღე, ნათესავების შეკრების, წიგნებზე საუბრის უამი იყო. წმინდა წიგნებზე ეს საუ-ბრები, ბიბლიურ პერსონაჟებზე მსჯელობა სულში აღნევს, გამდიდრებს. ის, რაც ჩენში მარტოოდენ დასვენების დღედ აღიქმება, აქ, ნოდარ ფარლაგაშვილის გარე-მოცვაში, სულიერი განონასწორების, სიმშვიდის, ებრაულ კლასიკურ მემკვიდრეო-ბაში კიდევ ერთხელ „ჩაყვინთვის“ საშუალებაა.

რეაგენტები

იმდენად უხმაურო, შეუმჩნეველ ცხოვრებას ეწეოდა და ეწევა, ისე ცდილობს არსად, არაფერმი იყოს კატეგორიული, საკუთარი აზრის ხმაურით გამომტქმელი პოზიციისა გამომხატველი, სრული შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ცხოვრების მდინარებას მიყოლილი კაცია, არ იჯება, ცხოვრების მდინარებას უშფოთველად მიჰყება, რადგან მიზნევს: „მოსახლეობის უჩქმოდაც მოხდება“

ეს ზედაპირულად მომზირალთა დანახვაა რეუვენ ენობის ყოფისა. მის გარჯი-ლობაზე მრავალნილიანი ყურადღებიანი დაკირვება კი სულ სხვა ფიქრს ნამოწრის მრავალი წელი ასე გალია, სიჭარმაგეში ასე გადავიდა და აღმოჩნდა რომ ფიქრ „მოსახლენი უჩემდოაც მოხდება“ ცხოვრებისადმი გულარხეინ - ინდიფიურენტულ დამოკიდებულებას, ან მდინარების მიყოლას კი არა, საკუთარ სათქმელზე, საქმეზე სრულ კონკრეტრაციას ნიშნავდა. დიახ, უხმაუროდ იყო, არის და დაბეჯითებით აკეთებდა, აკეთებს იმას, რაც უნდა ეკეთებინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მე ჩემი საქმე უნდა ვაკეთოო“ ფიქრობდა და ისევე უშფოთველად, უხმაუროდ განაგრძობს თავის საქმიანობას, როგორც ათი თუ ოცი, გნებავთ, ოცდაათი წლის ნინათ ეწეოდა.

აქტიური ცხოვრების ნების კაცს, ოუგვე ეზობის, იგივე როვერ ეზუეარვილის იგივე ჩვენი რუბენის, ცხოვრების ასეთი წესი, ალბათ, არ მოეწონება და უსაყვედურებს კიდევც: ეს როგორაც, ადამიანმა თავისი პოზიცია არა მხოლოდ ხმამაღლა უნდა გამოთქავას, მისი დამკვიდრებისთვის უნდა იბრძოლოს კიდევო. ვერ შეედავი: ასეთი აზრიც არსებობს-ცხოვრების ასეთი წესიც-მათ ასე ცხოვრება მოსწონთ და ასე ცხოვრობენ, რუბენი კი თავისი გზიდან არ გადადის-მისი პოზიციის გამოხატვის მისი აქტიურობის უტყუარი მაჩვენებელი, მისი მეცნიერული ღწვა გახლავთ, რისი დასტურიც უკვე გამოსული ნაკვლევია. მე ამ შრომების შეფასების უფლებას თავს არ მივცემ, იმას კი ვიტყვი, რომ ამ უქმდურო კაცმა თავისი მეცნიერული ღწვით დიდი სამსახური გაუწია -ქართველ ებრაელობას, იმაზე ათჯერ მეტი, ვიდრე იმ მოხმაურე ადამიანებმა, ერის სახელით რომ ლაპარაკობენ. რუბენი ერის სახელით ლაპარაკს ეროვნულად ღირებული საქმის კეთებას ამჯობინებს.

მომდინარე, კი თავის მეგობარ პოეტსა და პრიზაიკოსთან - ორციონ ბართანასთან ერთად საქართველო-ისრაელის ლიტერატურულ ურთიერთობათა სათავეში მოექცა-ორციონ ბართანა ქართველ პოეტთა ლექსებს სწორედ რეუვენ ენოხის პწყარედის მეოხებით ამეტყველებს ბიბლიის ენაზე. არაერთი ქართველი პოეტი თარგმნეს-გალაკტიონიდან მოყოლებული აგერ ბესიკ ხარანაულამდე. თუ არა ამ უხმაურო უშფოთველი რეუვენ ენოხის პწყარედული თარგმანები, ვერც ორციონ ბართანა გააწყობდა რაიმეს, ვერც მაყვალა გონაშვილი და ვერც მე-როცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და ამ სტრიქონების ავტორი ისრაელში ქართული პოეზიის კეირეულს ვამზადებდით, სწორედ ჩვენი რუბენი-არიელის უნივერსიტეტის პროფესორი რეუვენ ენოხი გვედგა გვერდით, სწორედ ის იყო პწყარედული თარგმანების ავტორი და ისრაელის შემოქმედებით კავშირებთან ჩვენი დამაკავშირებელი.

პერსონალის მუშაობის დანართი

ჩინებული საქმე ჰქმნა კოტე მახარაძემ. სწორედ მისი ინიციატივით დაწერა ჯე მალ აჯიაშვილმა მშვენიერი კომპოზიცია „ამდერდი, ქნარო!“. კოტე მისითვის ჩვეული გზნებით გვიამბობს საქართველოში ებრაელთა ცხოვრების ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორიას, გზნებით და სიყვარულით. იგი ჭეშმარიტად განიცდის ებრაელთა ბედს ჩვენც, მაყურებელთა დარბაზში მსხლომ, გვმსჭვალავს ამ ბედისადმი პატივისცე-

ხოლო ჯემალ აჯიაშვილს დიდი, საკმაოდ მომქანცველი შრომა გაუწევია მასა-ლების მოძიებისა და თავმოყრისათვის. მისი ჩინებულად, ამალებული ქართულით დაწერილი ტექსტი კოტე მახარაძის აქტიორული თავისებურებისათვის გახლავთ მისადაღებული. ამ ჩინებული დამთხვევის გამო ეს გრძელზე გრძელი მონოლოგი

მსახიობისა, ემოციურიც გახდლავთ.
ერთი გარემოების გამო კი გულს დამაკლდა: „ამდერდი, ქნაროს“ მიხედვით გამოდის, რომ ებრაელებს მთელი დედამიწის ზურგზე, ურტყაყმდნენ, სცემდნენ, გასაქანსა არ აძლევდნენ, მათს ნიჭს და ენერგიას თრუნავდნენ და მხოლოდ ერთი- საქართველო გახდლათ ის კუნძული, რომელზეც ებრაელები სულს ითქვამდნენ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თუ ასე იყო, რაღა იქ, იმ ქვეყნებში იშვნენ ალბერტ აინშტეინები და ჩარლი ჩაპლინები, ლიონ ფოიხტვაგნერები და ფრანც კაფკები, ზიგმუნდ ფროიდები და ჰაინრიხ ჰაინრიხი.

კარგად და სხვაგან არა, რატომ? რატომ იყო იქ ისე და ჩვენთან - ასე? ამას ხომ უნდა ახსნა?

კემალ აჯიაშვილმა შუასაუკუნეების ებრაული პოეზიაც თარგმნა და რილკეც. როცა ებრაული პოეზიის მისეულ თარგმანებს ეცნობა, მოგწონს, აღვაფრთოვანებს სიტყვის ფლობის უნარი და ისიც, თუ რამდენნაირი ნიუანსი შეიძლება თურმე გააჩნდეს სიტყვას, როგორ შეგიძლა იგი დაიმორჩილო, თავს მოახვიონ შენი ნება, აქ-ციო თიხად, რომლიდანაც შეჰქმნი განხყობის მატარებელ სახეს, სტრიქონს, სტროფს, შენს პოეტურ მუზას რომ სწადია. ეს ყველაფერი არაჩვეულებრივია. სწორედ რომ არაჩვეულებრივი, ხოლო რილკეს თარგმანების კითხვისას არაჩვეულებრივის შეგრძება არ გეუფლება. აშეარად გრძნობა: ებრაული პოეზიის თარგმნისას მთარგმნებლის მუზას, შთაგონება და პროფესიონალიზმი წარმართავდა რილკეს თარგმნისას კი, პროფესიონალიზმი. ერთი სიტყვით, პირველში სული ჩასდო თავისი, მეორეში - პროფესიული ცოდნა, პოეტური გამოცდილება...

მენახეა ელაზარი

მენახემ ელაზარი (აქოშვილი) რომ მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეის კაცი — ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული პიროვნება არ იყოს, საქართველოში მრავალი ებრაელის სიცოცხლის შემნარჩუნებელი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ხესედ ელიაზუ“, ან გნებავთ, ქართულენოვანი ებრაული თემატიკის გაზეთი, იქნებოდა, მაგრამ არა მაშინ, როცა მან ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ინსტიტუტები შექმნა, არამედ გაცილებით გვიან. მენახემ ელაზარს კი ეროვნული სულისკვეთება არ ასვენებდა და თავის მისიას მშობლიური ხალხისათვის სიკეთის დროულ, დაუყონებლივ კეთებაში ხედავდა.

როგორ? ახლავე შოგანსეხებთ, თუმცა ძალავრი უკვე გითხარით: იდეის კაცი, ეროვნული სულისკვეთების პიროვნება გახლავთ მეტქი. სწორედ ამიტომ და ამის გამო, საქართველოში ესოდენ მნიშვნელოვანი ორგანიზაციის წარმომადგენლად რომ დაინიშნა, იმაზე კი არ დაიწყო ფიქრი ამოდენა ბიუჯეტიდან მე რა დამრჩება, მე როგორ და რამდენს ჩავიდებ ჯიბეშიო, ეროვნული სულისკვეთებისავე ადამიანებს დაუწყო ძებნა, ადამიანებს რომლებსაც ძალუძღავთ, საზოგადო საქმე ეკვეთებინათ, ან უკვე არსებულ კონტიგუიტები ამ სულისკვეთების განვითარებას უწყობდა ხელს.

შევიკრიბეთ, ვიმსჯელეთ, ვიკამათეთ. გაზეთის გამოცემის იდეის სანინააღმდე-
გოდ იმდენი მოსაზრება გამოითქვა, რომ... გადაწყდა, გაზეთი არ უნდა გამოგვეცა.
იდეის მონინააღმდეგეთაგან ზოგს პირადი - ინტერესი გააჩნდა - თავად არ ხელ-
ნიფებოდა ისეთი რთული საქმის გაძლოლა, როგორც გაზეთის შექმნა-გამოცემაა, მა-
გრამ ამ მძიმე, თუმც ერთობ საპატიო ტვირთის ტარება არც სხვისთვის ემეტებოდათ.
ბევრი კი სახელმწიფოში შექმნილ ობიექტურ მიზეზებზე საუბრობდა — რეალობა
საკმაოდ სერიოზული გახლდათ. საქართველოში აღარ იყო ელექტროენერგია,, არ
იყო გაზი, მოსახლეობა ლამის პირველყოფილთა ცხოვრების წესს დაუბრუნდა: შესას,
ფიცრებს, ხეთაგან ნამსხვრევ ტოტებს ეზო-ეზო, უბან -უბან აგროვებდა და სადილს
აივანზე დანთებულ ცეცხლზე აკეთებდა. რუსეთიდან აღარც საგაზეთო ქაღალდი
შემოდიოდა აღარც საბეჭდი მასალა-სალებავები. უკვე გარდაცვლილი, წლისთავებ
გადახდილი კომპარტიის ცეკას გამომცემლობის წინ დილაადრიან მისულს შეგეძლო
თურქეთიდან შემოტანილი ქაღალდის, საღებავების შოვნა.

მენახემ ელაზარი კი ვერ ისვერებდა.
მიაღწია კიდეც მიზანს-1993 წლის ფურიმის დღესასწაულის ნინ საქართველოში გამოვიდა ებრაული თემატიკის გაზეთი „მენორა“. ეს არ იყო საქართველოში ებრაული გაზეთის გამოცემის პირველი ცდა-ადრეც გამოსულა, მაგრამ რამდენიმე ნომრის გამოცემის შემდეგ გაზეთს არსებობა შეუწყვეტია. „მენორა“ დღესაც გამოიდის და ნარმატებით ასრულებს თავის ამოცანას, მაგრამ ამ გაზეთის არსებობის წლებმა ერთი პარადოქსასალური რამ გამოავლინა: თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში გაზეთებს „მაკავეელი“, „ებრაელის ხმა“ ხელისუფლება პოლიტიკური მიზნით ებრძოდა და სურავდა, „მენორას“ თავისი არსებობის მეოთხედსაუკუნოვან გზაზე საქართველოს ხელისუფალთაგან არა-რა ნინაალმდევობა არ შეხვედრია, თანატომელთაგან კი... თანატოველი 90-იან წლებშიც ებრძოდნენ, მესამე ათასწლეულის პირველი საუკუნის გარიურასზეც, მის დახურვას დღესაც ნატოველობენ. მენახემ ელაზარი კი ყოველ ეტაპზე გაზეთს ფარად ედგა.

მენახემმა საქართველოში ბეკო კარგ ებრაულ წამოწყებას დაუდი სათავე (ჩრდილოეთ კავკასიაშიც!) ყველაფერი ამის ძალას ის აძლევს, რითაც მასზე საუბარი დავიწყე: ებრაული სუნისკვეთებით მცხოვრები კაცია-მეთქი, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნულ ნაჭუქშია მოქცეული- ისიც ისეთივე ორმაგი ცნობიერებისაა — ებრაული და ქართული, როგორც ქართველ ებრაელთა დიდი უმეტესობა, ამიტომ როცა ხედავს, დიდებული ქართულ-ებრაულ ურთიერთობით მოვაჭრე ადამიანთა ყელყელაობას, როცა ხედავს საერთო-სახალხო მონაპოვარი ვაჭრუკანებმა შემოსავლის წყაროდ როგორ გაიხსდეს, აგრესულიც კახდება, რადგან მისთვის

უძვირფასესია ორი ხალხის — ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა.
ძალიან ბევრ ისრაელელ ქართველ ებრაელს ვიცნობ, ძალიან ბევრთან მაქვს ახლო, მეგობრული ურთიერთობა, ჯერ არ შევტვედრივარ ქართველ ებრაელს, რომელიც მენახემისაბებრ იცნობდეს თანამედროვე ისრაელის ფილოსოფიური აზრს, ფილო-სოფოსთა შრომებს, იცოდეს ის, თუ როგორია დღეს ისრაელის პროზა, პოეზია. პირად საუბარში არაერთხელ მოუშველებია თანამედროვე ისრაელელ მოზროვნეთა-

ფილოსოფოსთა, პროზაიკოსთა ესა თუ ის თეზა. ამიტომ იგი ერთობ საინტერესომ მოსაუბრება.

ერთი ამბავიც უნდა გავუმხილო მკითხველს: რამდენიმეჯერ ვყოფილვარ იმის მონძე, რომ ისრაელის ქართველ ებრაელთა ზოგიერთ „ლიდერს“ მენახემ ელაზარი არ უყვარს, მაგრამ არც მენახემს უყვარს ისინი ისევ იმ მიზეზის გამო, რაც ზემოთ ელაზარის მნიშვნელოვან მახასიათებლად მივიჩნიე: მენახემი ებრაული სულისკვეებისა და ქვეყნის ისტორის გარჯილი კაცია, ვერც იმათ დავწამებ არაებრაულ მენტალიტეტს, მაგრამ ის კი არ მინახავს ქვეყნის ისტორის ირჯებოდნენ. იმათ სრა-სასახლეები აქვთ, მენახემს-არა, თუმცა, იმათ მენახემზე მეტი არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ასე მოხდა.

პონტიფიციანები კი რომ მოხარ მნიშვნელოვან ინიციატივას ასე საუ

ბრავო, პრეზიდენტ!

Ok.ru

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გამოიიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნაზე, თვალი მოავლო გარინდებულ დარბაზს, რომელიც მზად არის მიიღოს კიდევ ერთი ანტისრაელური რეზოლუცია ისრაელის ახალდასალებებში ახალ მონაშენეთა თაობაზე.

— მე ახალმოსახლე მონაშენე ვარ-დაინტუ ტრამპმა, ვაჩუმდა და პაზის შემდეგ განაგრძო-ჩემმა წინაპრებმა ოკეაზე გადმოცურუს, ეს მინა-წყალი აითვისეს და ამ მინაზე ცივილიზაცია მოიტანეს. მაგრა ამ თვალუწვდენელ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს 300 მილიონ ადამიანს კვებავს და შეუძლია ხუთჯერ ამდენი გამოკვებოს, რამდენიმე ველური ტომი დაეხეტებოდა. ამათგან ზოგიერთმა ტომმა მოინადინა ზიარებოდა ჩვენს ცივილიზაციას და ვინც ეს მოინადინა, გახდა კიდევ ამ ცივილიზაციის ნაწილი. იმათ, ვინც ჩვენთან ბრძოლა მონდომა, შევებრძოლეთ და მოვსპეთ, გავანადგურეთ. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ვიცავდით ჩვენს ოჯახებს, ჩვენს კულტურას, რადგან გვქონდა უფლება სიცოცხლისა. ამიტომ ნუ დამინტებთ ლაპარაკს იმაზე, რომ ახლო აღმოსავლეთში ყველა უძედურების სათავე ებრაელი ახალმოსახლენი არიან. არ არის ასე-ისინი აქ მოვიდნენ და ყველასგან მიტოვებული უდაბნო აყვავებულ ბალნარად აქციეს. გაცამტვერებული იმპერიის მიტოვებული პროვინცია თანამედროვე სახელმწიფო გახდა, მათ ააშენეს ქალაქები, ბალები, ალირძინეს უძველესი კულტურა, რომელშიც სათავეს იღებს თქვენი, ჩვენი ქრისტიანული, მუსლიმური ფასეულობანი. იმათ რა ააშენეს, ვინც გაიძახის ყველაფერი ნაგვართვეს? მინისქვეშა გვირაბები, ამ გვირაბებში მეზობლებისაკენ მიხოხვენ იმისათვის, რომ დახოცონ ისინი. ამათი ბელადები მთელ ქვეყნიერებას ელრიჯებიან ჩაგრულთა შემწეობისათვის ფინანსურად დაგვეხმარეთო, მერე ამ ფინანსებს ითვისებენ და ჩვენ ხედავთ მათს სრა-სასახლეებს, ვილებს, ან ამ ფულით მეზობელთა დასახოცად იარაღს ყიდულობენ. რა გააკეთეს იმათ, ვინც დღეს ისრაელის ბოროტმოქმედებზე, ოკუპაციაზე გაპევირის? რა გააკეთეს მათ თავისი ხალხისათვია? არაფერი და ნუ დამინტებთ ახლა ლაპარაკს ოკუპაციაზე. არ არის არა-რა ოკუპირებული ტერიტორია, აბა, მოითხოვთ ამ ცათამბჯენის დანგრევა, რომელშიც შეკრებილხართ და ისრაელს ლაფს ასხამ, დააზრიეთ ეს და სხვა ცათამბჯენები. და მანქეთენი იმ ინდიელ ტომებს დაუბრუნეთ, რომლებმაც იგი ბრჭყვიალა შუშაზე გადაცვალეს. არის აქ ისეთი ადამიანი, ამგვარ რეზოლუციას მხარს რომ დაუჭერს? რატომ არ სწევთ ხელს! მაშ, რატომ მოითხოვთ რომ აქედან აჟყაროთ ის 300ათასი მამაცი, გამრჯე, თავისი მინის მოყვარული ებრაელი, რომლებმაც ამ მინაზე ააშენეს სოფლებს, პლატფორმებს, ქალაქებს? მხედვილი იმით 100 წლის წინათ ჩვენმა წინაპრებმა გადაწყვიტეს ამ ტერიტორიაზე რომ 100 წლის წინათ შექმნა? ებრაელებმა ასეთი სისულელე უკვე ჩაიდინეს-ჩვენი მოხხვენის საფუძველზე 2005 წელს დაზას სეტორი დატოვეს და პალესტინელებს დაუტოვეს თავთავიანთი სახლები, სათბურები, ტერ-



@YitzYBergman

ორისტებმა კი ისინი რამდენიმე საათში გაძარცვეს და დალენეს. თავიანთ ხალხს უმუშევრობა, სილატაკე მოუტანეს, ლუკმა პური პირიდან გამოსტაცეს და ისრაელის მხარეს რაკეტებად დაუშინეს, თან იტყუებიან, ყველაფერში ბრალული ისრაელი და ამ სიცრუეს ავრცელებს SNN, აფინანსებს გაერო. ახლო აღმოსავლეთში სხვათა წამებას ვერ ხედავთ? გწადიათ ისრაელს წაართვათ დასახლებანი? და ვეუბნებით, რომ ამის მერე დამყარდება მშვიდობა და შრომის სუფეცა? ისეთივე სიმშვიდე და შრომის სუფეცა, როგორც მეზობელ სახელმწიფოებრივია? თავი ანებეთ ებრაელ ახალმოსახლეთ, მიეცით საშუალება იცხოვრონ, იმუშაონ, შექმნან ახალი ტექნოლოგიები რომლითაც ჩვენ ყველანი ვსარგებლობთ, მადლობა უთხარით ისრაელელებს იმის გამო, რომ თქვენი მუქარა არ აშენებთ, განაგრძობენ ცხოვრებას და სახელმწიფოს აყვავებას, პალესტინელებმა კი აშენონ თავიანთი ქვეყანა იქ, სადაც არიან, ცხოვრება და ქვეყნის აყვავება კი თავიანთი მეზობლებისაგან ისავლონ.

<https://ok.ru/integral/topic;66659194923948>

ვენაში გასამგზავრებელი ბილეთები

რაგი მაირ (მარათ) ლევინი



უკელაფერი სხვაგვარად რატომაა?
თითქოს უკელაფერი ჩვეულებრივაა:
იგივე ცა - კვლავაც ცისფერი,
იგივე ტყე, იგივე პარი და ისევ ის წყალი,
მხოლოდ ის არ დაპრუნდა ბრძოლიდან.

ვლადიმერ ვისოცკი

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ჩემი დეიდაშვილის დაკრძალვის დღეზე მომინევდა წერა - ის ხომ ჩემზე 20 წლით უმცროსი იყო. განსაკუთრებით მისი ავადმყოფობის პერიოდში დავუახლოვდით ერთმანეთს. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ის გერმანიაში ცხოვრობდა, მე კი - ისრაელი ვარ. მას დღეს ვენაში კძალავენ. ჯანმრთელობის მდგრამელი გამო იქ გამგზავრება არ შემიძლია. როგორ მოხდა ჩვენი განსაკუთრებული დაახლოება ბოლო რომ წლის განმავლენაში?

ოთხი წლის წინათ დავწერე წიგნი "ზღვის სიმღერა". მიეციდი ჩემი რაბინთან და ვკითხე: "აქვს აზრი ამ წიგნის გამოცემას? წიგნები ხომ არ იყიდება და თავადაც არც თუ ისე მიყვარს ამის გაკეთება".

- თუ ამ წიგნს გამოსცემ და გაჩუქრებ, ვინმეს ოდესმე დაეხმარება? - მიპასუხა რაბინი

- კი, დარწმუნებული ვარ რომ დაეხმარება! - მიზუგებ მე.

- აი, ხედავ, თავადვე უპასუხე შენს კითხვას!

უკვე მესუთე წიგნი გამოვეცი, რომელიც პრაქტიკულად არ გაყიდულა. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ერთი ეგზემპლარი დედას ვაჩუქრება.

ჩემი დეიდაშვილი საშა (ალექსანდრე) ლიგერმანი ექიმი იყო. სამი წლის წინათ ის დედაჩემს სტუმრობდა. ჩემი წიგნიდან ერთ-ერთი მოთხოვბა 'ნასესხები სიცოცხლე' იქ წაიკითხა, მოთხოვბაში ვისენები და თავიანთი არც თუ ისე მიყვარს გაკეთებაში?

ჩემი დეიდაშვილი საშა (ალექსანდრე) ლიგერმანი ექიმი იყო. სამი წლის წინათ ის დედაჩემს სტუმრობდა. ჩემი წიგნიდან ერთ-ერთი მოთხოვბა 'ნასესხები სიცოცხლე' იქ წაიკითხა, მოთხოვბაში ვისენები და თავიანთი არც თუ ისე მიყვარს გაკეთებაში?

მას მოერაცია გაუკეთეს. ძალზე მოტიმისტუ-

დეგ მეტასტაზები აღმოაჩნდა. პერიოდულად სასო ეკვეთებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, მის დაწყნარებას ვახერხებდი. ერთი წლის წინათ მითხოეს, რომ ექიმები მხოლოდ ერთი თვის სიცოცხლეს უნინასწარმეტყველებენ. კვლავ დავუკავშირდი ჩემს რაბინს, ვთხოვე საშა დაელოცხა. ეს ამბავი საშასაც შევატყობინე. მეორე დღეს მხედვედი მითხორა, რომ ჩემი რაბინი, მართლაც დიდი ისტატია. ვენის მიმართულებით ის რეისი გადაიდო, რომლითაც უნდა უგარენ გაფრინდება სურდა, მაგრამ არ ასეთი მიმართულების გამო იქ გამგზავრება არ შემიძლია. როგორ მოხდა ჩვენი განსაკუთრებული დაახლოება ბოლო რომ წლის განმავლენაში?

ოთხი წლის წინათ დავწერე წიგნი "ზღვის სიმღერა". მიეციდით საშა დარწმუნებული იყო, რომ ეს ჩემი რაბინის კურთხევის გამო მოხდა. მისი ხმა რომ გაიგონა, ჩემმა მეუღლები უთხოო: "ზაფხულში სტუმრად ჩამოვალებაში". ამით მისი მორალური გამხსევლება სურდა. მე კი ჩემს რაბინთან კონსულტაციის შემდეგ უარი არ მითქამას მასთან გამგზავრებაზე, მხოლოდ პირობა წავუყენე: "ახალი ჭურჭელი შეიძინეთ, მიკვეში ამოავლეთ და ქაშერი საკვები შეიძინეთ!"

ბოლო დღემდე არ ვიცოდი, შევძლებდით თუ არა ვენიდან შტუტგარდში გადაფრინენას, დაგვხვდებოდა კი ცოცხალი საშა?

ჩავედით შტუტგარდში და მაშინვე მასთან მივედით საავადმყოფოში. შემთარა მისმა მდგომარეობამ, მაგრამ არ შევიმჩინი.

რვა სექტემბერს დამირეკა, ბედნიერი შაბათი მისურვა და მეტოხა, თუ რა მდგომარეობა მქონდარას ამბობდნენ ექიმები თვალზე ოპერაციის წინ. საიდან შეძლო ძალების მოკრება იმისათვის, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებში ჩემზე ეფიქრა?

10 სექტემბერს საშა გარდაიცვალა.

ცოტა ხნის წინ დავწერე მოთხოვბა: "სიკვდილს უთხარი არა", სადაც საშას ვაგულის ხმობდი. ახლა კი - რა? "გვარდია ილუსტრატორი, მაგრამ არ ნებდება?" კვლავ მსურს გავიმეორო: სიკვდილი არ არსებობს. წიგ

